სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/172

ქ. თბილისი

31 ოქტომბერი 2024 წ.

სტუ-ის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულის - ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს დასახელების ცვლილებისა და მისი დებულების პროექტის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „თ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ის მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 31 ოქტომბრის N 01-05-02/29 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეეცვალოს დასახელება სტუ-ის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს „ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს" და ეწოდოს „ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი".
2. მოწონებული იქნეს საბჭოს სახელის შეცვლასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები და „ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის" დებულების პროექტი.
3. დადგენილებით გათვალისწინებული საკითხი დასამტკიცებლად გადაეცეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**